

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა
და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 3

ქ.ვანი თავისუფლების N65

9 იანვარი 2018 წელი

1.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - რამაზ არველაძე

სხდომას ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ძაგნიძე, აპოლონ რამიშვილი.

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: დავით ხარბეიშვილი, ამირან ტალახაძე, თორნიკე ერისთავი.

დასწრების ფურცელი თან ერთვის / დანართი: N1/

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის გეგმიური სხდომა 2018 წლის 9 იანვარი.

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის განკარგულების პროექტები სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ.

/მომხს: ზვიად კაპანაძე/

2. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2018 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმა.

/მომხს: რამაზ არველაძე/

კომისიის თავმჯდომარემ დასამტკიცებლად წარადგინა სხდომის დღის წესრიგი:
კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და დაამტკიცეს დღის წესრიგი.

მომხრე-8
წინააღმდეგი- არცერთი
დანართი /2/

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსმა ბ.ნ ზვიად კაპანაძემ კომისიას წარმოუდგინა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის განკარგულების პროექტები სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ:

კერძოდ

1. ახალშობილთა ოჯახებისათვის დახმარება
2. დიალიზის პროგრამაში ჩართულთა დახმარება
3. დღეგრძელთა (100 და მეტი წლის) დახმარება
4. მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარება
5. მეორე მსოფლიო ომის, ჩერნობილის ატომური ელ.სადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისათვის და 9 აპრილს დაზარალებულთათვის დახმარება
6. მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა
7. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება
8. პირველი ჯგუფის ინვალიდებისათვის დახმარება
9. საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარება
10. სამედიცინო დახმარება
11. სარიტუალო დახმარება
12. სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტთა დახმარება
13. სტიქიით დაზარალებულთა დახმარება
14. ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების დახმარება

ასევე მომხსენებელმა განმარტა, რომ წინა სხდომის შენიშვნების გათვალისწინებით წარმოგიდგინო კორექტირებულ 2018 წლის სოციალურ პროგრამებს, რომელიც ითვალისწინებს ფულადი დახმარების გაწევას დაზარალებული ოჯახებისთვის, რომელთაც ხანძრის შედეგად დაეწვათ საცხოვრებელი სახლი ან სტიქიური მოვლენების შედეგად (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზავი, ქვათა ცვენა, წყალდიდობა, ძლიერი ქარი) დაზარალდნენ.

3. დახმარებით ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახები.

ა) ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახი განისაზღვრება შსს-ს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს იმერეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს ვანის სახანძრო სამაშველო განყოფილების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე;

ბ) სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახი განისაზღვრება ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 ნოემბრის N 20 1295 ბრძანებით შექმნილი სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი და შენობა-ნაგებობების დეფექტური აქტების შემდგენი მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნის საფუძველზე.

კომისიის მხრიდან სხვა შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

მომხრე-8

წინააღმდეგი- არცერთი
დანართი N3

მეორე საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2018 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცება:

იანვარი

1. კომისიის სამუშაო გეგმის განხილვა დამტკიცება.

2. 2018 წლის სოციალური პროგრამების განხილვა.

თებერვალი

ვანუს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის 2017 წლის ანგარიშის მოსმენა.

მარტი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა.
2. ა (ა) იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის ანგარიში 2017 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

კომისიის წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს კომისიის თავმჯდომარის წარმოდგენილ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმას, აღნიშნული საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მომხრე-8

წინააღმდეგი- არცერთი
დანართი N3

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე